პენიტენციური სტრესი და მისი გამკლავების სტრატეგიები არასრულწლოვან მსჯავრდებულებთან

ნინო ტყეშელაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

პროგრამა

სკოლის ფსიქოლოგი, ფსიქოლოგ-კონსულტანტი, ინკლუზიური განათლების სპეციალისტი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი - რევაზ კორინთელი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2014

სარჩევი

აბსტრაქტი ---------- 4

შესავალი ---------- 5

I. სტერსის დეფინიცია ---------- 7

II. პენიტენციური სტრესი ---------- 8

III. არასრულწლოვანი მსჯავრდებულები ---------- 10

IV. პატიმრობის პირობებში გამკლავების სტრატეგიათა კვლევის პრობლემები ----- 11

V. დელიქვენტური ქცევის რისკ-ფაქტორები ---------- 12

V.1. ფსიქოლოგიური, ქცევითი და გონებრივი მახასიათებლები -------- ---------- 13

V .2.ოჯახის სტრუქტურა ---- ---------- ---------- 13

V.3. თანატოლთა წრე ---------- ---------- 14

V.4. საზოგადოებრივი ფაქტორი ---------- 14

V.5. სკოლის პოლიტიკა ---------- 15

V.6. სოციალური გარემო ---------- 15

VI. დელიქვენტური იდენტობები ---------- 16

VII. ფსიქიკურ აშლილობათა გავრცელებულობა მოზარდ პატიმრებში ---------- 17

VII. გამკლავების სტილები და მათი ზეგავლენა ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე ------- 20

VIII. გამკლავების სტრატეგიათა კვლევების მიმოხილვა ---------- 22

IX. საკვლევი საკითხის აქტუალობა ---------- 25

X. კვლევის მიზანი და ამოცანები ---------- 26

XI. კვლევის შედეგების მიმოხილვა და ანალიზი ---------- 27

XII. დასკვნა ---------- 33

გამოყენებული ლიტერატურა ---- ---------- 35

აბსტრაქტი

ნაშრომი მოიცავს პენიტენციურ გარემოში მყოფი მოზარდების სტრესთან გამკლავების სტრატეგიების თეორიულ მიმოხილვას; არასრულწლოვან დამნაშავეთა ფსიქოლოგიური მახასიათებლებისა და ფსიქიკური აშლილობების; მოზარდთა დელქვინტურობის რისკ-ფაქტორების მიმოხილვასა და ანალიზს. ასევე განხილულია ის ძირითადი ფაქტორები, რომლებიც უკავშირდება არასრულწლოვან მსჯავრდებულთა ადაპტაციას საპატიმროს გარემოში და პენიტენციალურ სტრესთან გამკლავების თავისებურებებს.

ნაშრომში მოცემულია საქართველოს სასჯელაღსრულების სისტემაში მყოფ არასრულწლოვან მსჯავრდებულებთან ჩატარებული კვლევა, რომელიც მიზნად ისახავს პენიტენციურ სტრესთან გამკლავების სტრატეგიების კვლევას სასჯელასრულების დაწესებულებაში პირველად და მეორედ მოხვედრილ არასრულწლოვნებთან, მათ მიერ გამოყენებად სტრატეგიათა იდენტიფიცირებას და შედარებას. ყოველივე ამის შედეგად რეკომენდაციათა ჩამოყალიბებას პენიტენციურ სისტემაში მომუშავე ფსიქოლოგებისა და პერსონალისათვის.